მხარი კარგად აუბეს

თბილისი ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 25 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) - ცსკა 1:1 (2:0).

“დინამო”: გაბელია, კოსტავა (რუხაძე), ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, თავაძე, ჩელებაძე, ჯოხაძე (ცაავა).

ცსკა: ასტაპოვსკი, დულიკი, შვეცოვი, ვისოკიხი, პასეცნიკი, ბიჩკოვი (კოლპოვსკი), ჩესნოკოვი (მალიკოვი), მიხალკევიჩი, ტარხანოვი, კორობოჩკა, ასოსკოვი.

მსაჯი ა. ტემეტოვი (უჟგოროდი)

გოლები: ჩელებაძე (მე-10 მე-18 წუთები), თავაძე (54), მალიკოვი (86).

წლევანდელი ჩემპიონატის ბოლო მატჩის შედგეს მეტოქეთათვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია და მწვრთნელებმა მინდორზე რამდენიმე ახალბედა ფეხბურთელი გამოიყვანეს. თავაძისა და ჯოხაძის გარდა მაყურებელმა ახალგაზრდა სპორტსმენი ცაავა და ტრავმის შემდეგ მწყობრში ჩამდგარი რუხაძეც იხილა. უნდა ითქვას, რომ “დინამოს” ამ განახლებულმა შემადგენლობამ საკმაოდ კარგად ითამაშა. რა თქმა უნდა, საქმე მარტო მასპინძელთა მიერ სამი გატანილი გოლი არ არის. თბილისელებმა მთელი მატჩის განმავლობაში, განსაკუთრებით კი მეორე ტაიმში, უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს მოსკოველთა კართან. მ. მაჩაიძესა და კოპალეიშვილს მშვენივრად აუბეს მხარი განაპირა ნახევარმცველებმა თავაძემ და ჯოხაძემ (დარასელია ჩელებაძესთან ერთად ამ დღეს თავდამსხმელად თამაშობდა).

პირველ წარმატებას მასპინძლებმა მე-10 წუთზე მიაღწიეს - ჩელებაძემ დროზე შენიშნა ასტაპოვსკის არასწორი პოზიცია, ზუსტად დაარტყა და ანგარიშიც გახსნა - 1:0.

თბილისელთა ტერიტორიული უპირატესობა არცთუ ისე საგრძნობია. მაგრამ სახიფათო მომენტები მხოლოდ სტუმართა კართან იქმნება. ფაქტიურად პირველ ტაიმში მოსკოველებს ერთხელ 34-ე წუთზე მიეცათ გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა - ტარხანოვის ჩაწოდების შემდეგ ჩესნოკოვმა ძელს მოახვედრა ბურთი.

მე-19 წუთზე საჯარიმოში შეჭრილი დარასელია წააქციეს. პენალტი. ჩელებაძემ ცრუ მოძრაობით მოატყუა გოლკიპერი და ბურთიც ნელა შეგორდა კარში - 2:0. მეორე ტაიმში რევაზს კიდევ ერთხელ მიეცა შესაძლებლობა თავი გამოეჩინა, მაგრამ ამჯერად ასტაპოვსკიმ ზუსტად გამოიცნო თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმის მიმართულება.

მეორე ორმოცდახუთი წუთი სანახაობრივად უფრო საინტერესო გამოდგა. არმიელი ფეხბურთელები, როგორც ჩანს, შეურიგდნენ დამარცხებას და მათი საჯარიმო მოედანიც თბილისელი ნახევარმცველებისა და თავდამსხმელების მწვავე იერიშების ადგილად იქცა. 54-ე წუთზე მოსკოველთა კარში გატანილი გოლის ავტორი თავაძე იყო. თხუთმეტი წუთის შემდეგ კი ჭილაიას მოცელვისთვის დანიშნული პენალტი. როგორც უკვე ვთქვით, მასპინძლებმა ვერ გამოიყენეს.

მატჩის დასასრულამდე კიდევ ბევრს უტევდა “დინამო”, ბევრჯერ ძალიან ახლოსაც იყო მიზანთან, მაგრამ მოსკოველთა კარი რაღაც სასწაულებით მაინც გადაურჩა გოლს. შეხვედრის მიწურულს მალიკოვის მიერ გატანილი ბურთი კი უფრო

საპრესტიჟო იყო და ამას, ბუნებრივია, თბილისელთა თამაშით მიღებული საერთო შთაბეჭდილება არ გაუფუჭებია.

ბ. ირემაძე

ლელო 27.XI.79

მეოთხე ადგილი

გუშინ თბილისის "ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა თბილისის "დინამოსა" და ცსკა-ს სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი ფეხბურთში.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ - 2:2 (1:1). ბურთები გაიტანეს: ბელენკოვმა (28-ე წუთი), გორგილაძემ (41, პენალტით), გრიგორიევმა (70) და ჟვანიამ (75).

დინამოელები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდნენ: მამინაშვილი, დოჩია, რუხაძე, ჩაჩუა, ლაცაბიძე, ლაფერაძე, გორგილაძე, ჟვანია, კაკილაშვილი, ცაავა, ბოლქვაძე.

თბილისის "დინამოს" დუბლიორებმა დაამთავრეს გათამაშება. გუნდი IV ადგილზე გავიდა 44 ქულით: 19 მოგება, 6 ფრე, 9 წაგება, ბურთების სხვაობა 70 - 45.